



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**დადგენილება №10**

აბაშა, 2022 წლის 27 დეკემბერი

**„აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:

გელა ხოშტარია

**თავი I. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები**

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>13449.7</b>	<b>15379.2</b>	<b>6476.4</b>	<b>8902.8</b>	<b>10022.1</b>	<b>0.0</b>	<b>10022.1</b>
გადასახადები	6993.0	8165.0	0.0	8165.0	9232.1	0.0	9232.1

გრანტები	5899.8	6646.4	6476.4	170.0	260.0	0.0	260.0
სხვა შემოსავლები	556.9	567.8	0.0	567.8	530.0	0.0	530.0
<b>II. ხარჯები</b>	<b>7506.1</b>	<b>10262.1</b>	<b>788.2</b>	<b>9473.9</b>	<b>10937.5</b>	<b>0.0</b>	<b>10937.5</b>
შრომის ანაზღაურება	1806.4	2676.4	0.0	2676.4	3201.4	0.0	3201.4
საქონელი და მომსახურება	1279.3	1885.1	745.0	1140.1	1362.5	0.0	1362.5
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	26.5	25.5	0.0	25.5	26.0	0.0	26.0
სუბსიდიები	3675.8	4544.4	0.0	4544.4	5524.6	0.0	5524.6
გრანტები	0.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	611.8	664.1	0.0	664.1	621.6	0.0	621.6
სხვა ხარჯები	106.3	436.6	43.2	393.4	171.4	0.0	171.4
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>5943.6</b>	<b>5117.1</b>	<b>5688.2</b>	<b>-571.1</b>	<b>-915.4</b>	<b>0.0</b>	<b>-915.4</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>5394.4</b>	<b>6690.8</b>	<b>6052.6</b>	<b>638.2</b>	<b>-967.4</b>	<b>0.0</b>	<b>-967.4</b>
ზრდა	5430.7	6805.4	6052.6	752.8	152.1	0.0	152.1
კლება	36.3	114.6	0.0	114.6	1119.5	0.0	1119.5
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>549.2</b>	<b>-1573.7</b>	<b>-364.4</b>	<b>-1209.3</b>	<b>52.0</b>	<b>0.0</b>	<b>52.0</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>497.8</b>	<b>-1625.7</b>	<b>-364.4</b>	<b>-1261.3</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
ზრდა	1636.6	0.0	0.0	0.0		0.0	
ვალუტა და დეპოზიტები	1636.6	0.0	0.0	0.0		0.0	
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	
კლება	1138.8	1625.7	364.4	1261.3	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები		0.0	0.0	0.0		0.0	
სესხები	1138.8	1625.7	364.4	1261.3	0.0	0.0	0.0
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-51.4</b>	<b>-52.0</b>	<b>0.0</b>	<b>-52.0</b>	<b>-52.0</b>	<b>0.0</b>	<b>-52.0</b>
კლება	0.0	-52.0	0.0	-52.0	-52.0	0.0	-52.0
საშინაო	-51.4	-52.0	0.0	-52.0	-52.0	0.0	-52.0
სესხები						0.0	
სხვა კრედიტორული დავალიანებები						0.0	
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსულობები</b>	<b>14624.8</b>	<b>17119.5</b>	<b>6840.8</b>	<b>10278.7</b>	<b>11141.6</b>	<b>0.0</b>	<b>11141.6</b>
შემოსავლები	13449.7	15379.2	6476.4	8902.8	10022.1	0.0	10022.1
არაფინანსური აქტივების კლება	36.3	114.6	0.0	114.6	1119.5	0.0	1119.5
ფინანსური აქტივების კლება	1138.8	1625.7	364.4	1261.3	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>12988.2</b>	<b>17119.5</b>	<b>6840.8</b>	<b>10278.7</b>	<b>11141.6</b>	<b>0.0</b>	<b>11141.6</b>

ხარჯები	7506.1	10262.1	788.2	9473.9	10937.5	0.0	10937.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	5430.7	6329.1	5511.3	817.8	152.1	0.0	152.1
ვალდებულებების კლება	51.4	52.0	0.0	52.0	52.0	0.0	52.0
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს **10 022.1** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსავლები</b>	<b>13449.7</b>	<b>15379.2</b>	<b>6476.4</b>	<b>8902.8</b>	<b>10022.1</b>	<b>0.0</b>	<b>10022.1</b>
გადასახადები	6993.0	8165.0	0.0	8165.0	9232.1	0.0	9232.1
გრანტები	5899.8	6646.4	6476.4	170.0	260.0	0.0	260.0
სხვა შემოსავლები	556.9	567.8	0.0	567.8	530.0	0.0	530.0

### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს **9 232.1** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
<b>გადასახადები</b>	<b>6993.0</b>	<b>8165.0</b>	<b>0.0</b>	<b>8165.0</b>	<b>9232.1</b>	<b>0.0</b>	<b>9232.1</b>
დამატებული ღირებულების გადასახადი	5836.6	6965.0	0.0	6965.0	8032.1	0.0	8032.1
ქონების გადასახადი	1156.4	1200.0	0.0	1200.0	1200.0	0.0	1200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	676.0	727.0	0.0	727.0	780.0	0.0	780.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		3.0	0.0	3.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	352.3	330.0	0.0	330.0	330.0	0.0	330.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	128.1	140.0	0.0	140.0	90.0	0.0	90.0

### მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს **260.0** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>5899.8</b>	<b>6646.4</b>	<b>260.0</b>

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	90.0		
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები			
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	5809.8	6646.4	
მიმდინარე ტრანსფერი	369.9	619.5	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	369.9	619.5	260.0
კაპიტალური ტრანსფერი	4939.9	6026.9	
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	500.0	500.0	

### მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს **530.0** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>556.9</b>	<b>567.8</b>	<b>530.0</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	93.6	107.0	90.0
პროცენტები	48.3	49.0	30.0
რენტა	45.3	58.0	60.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	54.0	45.0	63.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	35.5	36.0	48.0
სანებართვო მოსაკრებელი	6.8	14.0	25.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	28.7	22.0	23.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	18.5	9.0	15.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	265.5	415.8	377.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	0.0	0.0

### მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **10 937.5** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
<b>ხარჯები</b>	<b>7506.1</b>	<b>10262.1</b>	<b>788.2</b>	<b>9473.9</b>	<b>10937.5</b>	<b>0.0</b>	<b>10937.5</b>
შრომის ანაზღაურება	1806.4	2676.4	0.0	2676.4	3201.4	0.0	3201.4
საქონელი და მომსახურება	1279.3	1885.1	745.0	1140.1	1362.5	0.0	1362.5
პროცენტები	26.5	25.5	0.0	25.5	26.0	0.0	26.0
სუბსიდიები	3675.8	4544.4	0.0	4544.4	5524.6	0.0	5524.6
გრანტები	0.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0

სოციალური უზრუნველყოფა	611.8	664.1	0.0	664.1	621.6	0.0	621.6
სხვა ხარჯები	106.3	436.6	43.2	393.4	171.4	0.0	171.4

### მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **-967.4** ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **152.1** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება **1119.5** ათასი ლარით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	ათას ლარში		
		2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>21.3</b>	<b>104.8</b>	<b>132.1</b>
<b>01 01</b>	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	<b>21.3</b>	<b>104.8</b>	<b>132.1</b>
<b>01 01 01</b>	მუნიციპალიტეტის საკრებულო			<b>11.5</b>
<b>01 01 02</b>	მუნიციპალიტეტის მერია	<b>21.3</b>	<b>104.0</b>	<b>120.6</b>
<b>01 01 03</b>	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური		<b>0.8</b>	
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>5314.6</b>	<b>6423.7</b>	<b>8.0</b>
<b>02 01</b>	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	<b>2382.9</b>	<b>5411.0</b>	
<b>02 01 01</b>	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	<b>2380.1</b>	<b>5411.0</b>	
<b>02 01 02</b>	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	<b>2.8</b>	<b>0.0</b>	
<b>02 02</b>	ბინათმშენებლობა	<b>784.5</b>	<b>34.9</b>	
<b>02 03</b>	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	<b>1724.3</b>	<b>0.0</b>	
<b>02 05</b>	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	<b>100.2</b>	<b>453.0</b>	
<b>02 06</b>	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	<b>259.0</b>	<b>177.8</b>	
<b>02 07</b>	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	<b>5.7</b>	<b>142.0</b>	
<b>02 07 01</b>	სკვერების მოწყობის ღონისძიებები		<b>128.4</b>	
<b>02 07 02</b>	კეთილმოწყობის ღონისძიებები	<b>5.7</b>	<b>13.6</b>	<b>8.0</b>
<b>02 07 02 02</b>	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	<b>5.7</b>	<b>13.6</b>	<b>8.0</b>
<b>02 08</b>	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება			
<b>02 09</b>	ტურიზმი			
<b>02 10</b>	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	<b>58.0</b>	<b>205.0</b>	
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>			
<b>03 02</b>	მწვანე ნარგავების შექმნა			
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>93.2</b>	<b>262.2</b>	<b>10.0</b>
<b>04 01</b>	სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება	<b>42.0</b>		<b>10.0</b>
<b>04 02</b>	საჯარო სკოლების დაფინანსება	<b>51.2</b>	<b>262.2</b>	
<b>04 03</b>	სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია			
<b>05 00</b>	<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი</b>			<b>2.0</b>
<b>05 01</b>	სპორტის სფეროს განვითარება			<b>2.0</b>
<b>05 02</b>	კულტურის სფეროს განვითარება			
<b>05 03</b>	ახალგაზრდობის მხარდაჭერა			
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1.6</b>	<b>14.7</b>	
<b>06 01</b>	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება		<b>3.0</b>	
<b>06 02</b>	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა	<b>1.6</b>		
<b>06 02 02</b>	ამბულატორიების მშენებლობა-რემონტი	<b>1.6</b>	<b>11.7</b>	
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>5430.7</b>	<b>6805.4</b>	<b>152.1</b>

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	36.3	114.6	1119.5
ძირითადი აქტივები	23.6	30.0	50.0
არაწარმოებული აქტივები	12.7	84.6	1069.5
მიწა	12.7	84.6	1069.5

**მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:**

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2732.4	4305.6	4857.9
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2644.2	3995.2	4744.9
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2644.2	3980.2	4724.9
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა		15.0	20.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	77.9	290.4	103.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	10.3	20.0	10.0
7.2	თავდაცვა			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	2998.5	6455.9	37.5
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	100.2	453.0	
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა	100.2	453.0	
7.4.5	ტრანსპორტი	2383.8	5414.6	7.5
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2383.8	5414.6	7.5
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები			
7.4.6	კავშირგაბმულობა			
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები		30.0	30.0
7.4.7.3	ტურიზმი		30.0	30.0
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	514.5	558.3	
7.5	გარემოს დაცვა	328.7	369.1	457.8
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	328.7	369.1	457.8
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა			

7.5 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში			
7.6	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>3712.0</b>	<b>1566.7</b>	<b>1377.9</b>
7.6 1	ბინათმშენებლობა	825.6	106.0	
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება			
7.6 3	წყალმომარაგება			
7.6 4	გარე განათება	2133.7	499.6	411.8
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	752.7	961.1	966.1
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>415.8</b>	<b>430.9</b>	<b>398.6</b>
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	147.8	159.2	198.6
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	268.0	271.7	200.0
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>920.1</b>	<b>1361.0</b>	<b>1551.3</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	319.7	601.8	711.3
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	574.0	673.2	738.0
7.8 3	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	26.4	32.0	37.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა		54.0	65.0
7.8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში			
7.9	<b>განათლება</b>	<b>1536.5</b>	<b>2207.7</b>	<b>2030.0</b>
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1236.3	1581.0	2030.0
7.9 2	ზოგადი განათლება	300.2	626.7	
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება			
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	300.2	626.7	
7.9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში			
7.10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>344.2</b>	<b>422.6</b>	<b>430.6</b>
7.10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა			
7.10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1.0	2.0	2.0
7.10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	55.0	60.8	62.8
7.10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	207.2	235.0	239.0
7.10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა		10.0	10.0
7.10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას			
7.10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	81.0	114.8	116.8
	<b>სულ</b>	<b>12988.2</b>	<b>17119.5</b>	<b>11141.6</b>

**მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს **52.0** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო **-915.4** ათასი ლარით:

*ათას ლარში*

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------

საოპერაციო სალდო	5943.6	5117.1	-915.4
მთლიანი სალდო	549.2	- 1573.7	52.0

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**  
 ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **0.0** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>- 1138.8</b>	<b>- 1625.7</b>	<b>0.0</b>
ზრდა	0.0	0.0	
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	0.0	
სესხები	0.0	0.0	
კლება	1138.8	1625.7	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	0.0	
სესხები	1138.8	1625.7	0.0

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აბაშის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 160.7 ათას ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 82.7 ათასი ლარი.

**თავი II. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები**

**მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება**

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1415.4** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1415.4



02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7.5
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	7.5
02 02	ბინათმშენებლობა	
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	
02 04	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	
02 07	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	1377.9
02 07 01	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	
02 07 02	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1377.9
02 07 02 01	ქალაქის გარე განათება	411.8
02 07 02 02	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	966.1
02 08	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	
02 09	ტურიზმი	30.0
02 10	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		7.5
პროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მაღალტექნოლოგიური მონაცემების მქონე ჰაკიანი და ზოგადი კამერების მოვლა-შენახვას		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული და უსაფრთხო საგზაო მოძრაობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02 01		411.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. აბაშაში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>• ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>• დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება;</li> </ul> <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის ფუნქციონირების გამართვა. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროულად აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის მოცულია დასახლებული ტერიტორიის 90 %.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02 02		966.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცენტრისა და შემოგარენის გალამაზება, კეთილმოწყობა. ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი სასაფლაოები, სკვერები და პარკები		

პროგრამის დასახელება	კოდი	ტურიზმი	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია რეგიონში ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია		
მოსალოდნელი შედეგი	ყველა ტურისტული ღირსშესანიშნაობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და ახალი მდგომარეობის დანერგვა		

#### მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **457.8** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2023 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	457.8
03 01	ქალაქის დასუფთავება	457.8
03 02	მწვანე ნარგავების შექმნა	

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის დასუფთავება	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		457.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეპროგრამის ფარგლებში დასუფთავების სამსახური ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი სპეც ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქუჩებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე 14 ადმინისტრაციული ერთეულებიდან შეგროვებული ნარჩენი გადის ქ. სამტრედიის ტერიტორიის არსებულ ნაგავსაყრელზე.
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავებული მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

### მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2030.0** ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

<i>ათას ლარში</i>		
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
04 00	განათლება	2030.0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2030.0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	
04 03	სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2030.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც ჩარიცხულია 530 აღსაზრდელი, რაც მოიცავს ჩასარიცხ მსურველთა 85%-ს, საძინებელი პირობების უქონლობის გამო 2-3 წლამდე ასაკის ბავშვების მიღება საბავშვო ბაღებში ვერ ხერხდება, კონტიგენტის ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭება მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულია 224 თანამშრომელი; მ.შ 19 საბავშვო ბაღის უფროსი; აღმზრდელ-პედაგოგი და შემცველი 54; აღმზრდელი თანამშემწე 29; მზარეული 26 და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექნიკური პერსონალი; 3-6 წლის ასაკის ბავშვთა სრული ჩართვა სკოლამდელ დაწესებულებებში, უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჯანსაღი კვება, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა. სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა და რეკომენდაციების შესაბამისად საბავშვო ბაღების შიდა სივრცეების მოწყობა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სანიტარულ-</p>		

	<p>ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა. სამედიცინო ფსიქოლოგიური და ლოგოპედური მომსახურება, საბავშვო ბაღებში HACCP სისტემის დანერგვა, პერსონალთა ინდივიდუალური კარდებით უზრუნველყოფა. აღმზრდელ-პედაგოგთა სასერთიფიკაციო ტრენინგებში მონაწილეობა. საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;</p> <p>ბავშვთა კვება ძირითადად შეესაბამება რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; კვება არის სამჯერადი; სანიტარულ-ჰიგიენური პირობები პასუხობს მოქმედ სტანდარტებს, ს/ბაღები უზრუნველყოფილი არიან ცივი და ცხელი წყლით, წელიწადში ერთჯერ სწავლის დაწყებამდე ტარდება წყლის ლაბორატორიული გამოკვლევა, გაზიფიცირებულია 5 ს/ბაღი, ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით; მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები, სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p>

**მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი**

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1551.3** ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

<i>ათას ლარში</i>		
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
<b>05 00</b>	<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>1551.3</b>
<b>05 01</b>	სპორტის სფეროს განვითარება	<b>711.3</b>
<b>05 01 01</b>	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	<b>592.0</b>
<b>05 01 02</b>	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	<b>113.3</b>
<b>05 01 04</b>	სპორტული ღონისძიებები	<b>6.0</b>
<b>05 02</b>	კულტურის სფეროს განვითარება	<b>825.0</b>
<b>05 02 01</b>	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	<b>688.0</b>
<b>05 02 02</b>	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	<b>37.0</b>
<b>05 02 03</b>	სხვა კულტურული ღონისძიებები	<b>50.0</b>
<b>05 02 04</b>	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	<b>50.0</b>
<b>05 03</b>	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	<b>15.0</b>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სპორტის ცენტრის ხელშეწყობა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 01 01</b>		<b>592.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის ცენტრი აერთიანებს: ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, ტურიზმის განვითარების მართვის სამსახურს, იპოდრომის მართვის სამსახურს და სპორტსკოლას, სადაც მოქმედებს 11 სპორტული სახეობა. ესენია: ბ/პოკეი 40 ბავშვი, ბ/რომაული ჭიდაობა 24 ბავშვი, ძიუდო 16 ბავშვი, ჭადრაკი 16 ბავშვი, კრივი 12 ბავშვი, მ/ჩოგბურთი 16 ბავშვი, კალათბურთი 16 ბავშვი, ტაეკვონდო 16 ბავშვი, მძლეოსნობა 16 ბავშვი, ველოსპორტი 12 ბავშვი, ნიჭბოსნობა 16 ბავშვი. (სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 200 მოსწავლე) საწვრთნელი პროცესები უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ, სპორტის ცენტრში დასაქმებულია 57 ადამიანი მ.შ. 7 ადმინისტრაციული პერსონალი, 18 მწვრთნელი, 3 მედიცინის მუშაკი, 6 ტექნიკური თანამშრომელი, ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეკრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მეტი მოზარდის ჩართვას სპორტის სახეობებში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთაც.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>სპორტის ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს რეგულაციების შესაბამისად, ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>05 01 02</b>	<b>ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>113.3</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ზანა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფეხბურთის პოპულარიზაცია, სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა. ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სკოლისგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ჯანსაღი და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და დამკვიდრება. ნიჭიერი პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა. ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მიწოდება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მაღალი სპორტული შედეგების ჩვენება. საფეხბურთო შეჯიბრებებზე მაქსიმალური სპორტული ცოდნისა და ჩვევების რეალიზება ამდღეობის სპორტული შედეგების მიღწევა. ჯანსაღი თაობის აღზრდა.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი <b>05 01 04</b>	<b>სპორტული ღონისძიებები</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>6.0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ შემოთავაზებული პროექტის „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ მუნიციპალურ ტურის ჩატარება. გამარჯვებული გუნდებისათვის სპორტული ფორმების შეძენა და ტრანსპორტით უზრუნველყოფა რეგიონალურ ტურში მონაწილეობის მიზნით. სპორტის საერთაშორისო დღის (6 აპრილი) აღნიშვნა, ევროპის სპორტის კვირეულში (23-30 სექტემბერი) მონაწილეობა. ოლიმპიური დღის (23 ივნისი) აღნიშვნა. პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ჩართვა სპორტის სახეობებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>05 02 01</b>	<b>კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>688.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი		

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, კულტურულ-საგანმანათლებლო-სახელოვნებო სააღმზრდელო საინფორმაციო და შემოქმედებითი საქმიანობა. ამ მიზნით იგეგმება პროგრამები: აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის განვითარების, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა სახის ღონისძიებები: კონცერტები, ფესტივალები, სხვადასხვა სახის თემატური საღამოები, ინტელექტუალური თამაშები, დისკუსიები, ლექციები აქტუალურ თემებზე, გენდერულ საკითხებზე და ბავშვთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის თემებზე. ახალგაზრდული დღეები, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები: 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის დაგეგმილი და დაუგეგმავი ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, სახალხო ზეიმები "კონსტანტინეობა", "გულიერობა", "ტირიფობა", "აბაშობა", "გიორგობა" და სხვა. ცნობილი აბაშელი მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებების, აკაკი ხოშტარისა და სერგი მაკალათიას საიუბილეო საღამოების ჩატარება. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, საქართველოში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღნიშვნა და შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, 9 აპრილის, 9 მაისის, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ქართული ხალხური სამოსის დღის აღნიშვნა. მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალებზე. შემოქმედებით ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სოლო კონცერტების ჩატარება. ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა კონცერტების, თემატური საღამოების მოწყობა, ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის კონკურს-ფესტივალებზე. სისტემატიური ზრუნვა ხელოვნების სკოლაში საგაკვეთილო პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და შემდგომი ფართოდ გამოყენების მიზნით. ევროპის დღეებისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენციების ჩატარება და მის ფარგლებში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა. ფოტო კონკურსი "ჩემი თვალით დანახული აბაშა", ბავშვთა დაცვის დღის აღნიშვნა. შეხვედრა შემოქმედ ადამიანებთან "სამი მუზის სავარძელი", პოეზიის საღამო. მთ. ბიბლიოთეკაში, თემის ბიბლიოთეკებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, თემატური საღამოების ჩატარება. კულტურული ღონისძიებების განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში ონლაინ ჩატარება. მუზეუმებში შემცენებითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარება, როგორცაა "ღამე მუზეუმში". ტურისტული თვალსაზრისით მუზეუმებში და სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა. მუნიციპალური ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება. საშობაო სახალწლო ღონისძიებების მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა, სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი <b>05 02 02</b></p>	<p><b>ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა</b></p>	<p>დაფინანსება ათას ლარში <b>37.0</b></p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ „საინფორმაციო მაუწყებელი - აბაშის მაცნე“</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია დიდი იყოს გაზეთის როლი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მუშაობაში, გაზეთის საშუალებით გაშუქდეს მიმდინარე ახალი ამბები, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები. ასევე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა.</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.</p>		

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი <b>05 02 03</b></p>	<p><b>სხვა კულტურული ღონისძიებები</b></p>	<p>დაფინანსება ათას ლარში <b>50.0</b></p>
-----------------------------	---------------------------------	---	---

<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში გახორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კულტურული სივრცის მოწყობა</li> </ul> <p>კულტურულ- შემეცნებითი ღონისძიებები, კლასიკური მუსიკის, პოეზიის საღამოები, მინი სპექტაკლები, შეხვედრები საინტერესო თემებზე და საინტერესო შემოქმედ ადამიანებთან, ცნობად სახეებთან, ახალგაზრდებთან, გამოფენები, წიგნის განხილვა, საზეიმო ცერემონიები, ლექცია-კონცერტები, ღია სოლო კონცერტები, ნებისმიერი სახის კონკურსების გამარჯვებულთა დაჯილდოებები და სხვა მსგავსი ღონისძიებები არ საჭიროებს მაცურებელთა დიდ რაოდენობას და მისი გამართვა ღია სივრცეში საკმაოდ კომფორტული იქნება.</p> <p>ქ. აბაშის ცენტრში, საქართველოს ეროვნულ გმირთა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის რეაბილიტირებული პარკი, არსებული ინფრასტრუქტურა და პარკის შემოგარენი იძლევა მსგავსი ღონისძიებების განხორციელების საშუალებას. ამ სივრცეებში ღონისძიებების გამართვა შესაძლებელია სხვადასხვა ლოკაციაზე ღონისძიების შინაარსობრივი და თემატური დატვირთვიდან გამომდინარე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიღწეული წარმატებებისათვის, დამსახურებისათვის, აბაშაში მცხოვრებ ხელოვანთა და კულტურის სფეროს მოღვაწეთა (მათ შორის: სახელოვნებო განათლების პედაგოგთა) დაჯილდოება.</li> </ul> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება, მუშაობის ახალი, თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა,</li> <li>• აბაშაში მცხოვრებ, მოღვაწე ხელოვან ადამიანთა ღვაწლის დაფასება, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია.</li> </ul> <p>*„აბაშის საზაფხულო საყმაწვილო კინოსკოლა“</p> <p>მიზანი: კინოხელოვნების პოპულარიზაცია, კინოხელოვნების განათლების ხელშეწყობა</p> <p>*აბაშის საერთაშორისო საბავშვო-საყმაწვილო კინოფესტივალი“</p> <p>ფესტივალის მიზანია აღმოაჩინოს, წახალისოს და საზოგადოებას გააცნოს კინოხელოვნების მოყვარული როგორც ქართველი, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნიჭიერი მოზარდები და მათი შემოქმედება.</p> <p>ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>პროექტის ფარგლებში იგეგმება ექსპერტებისა და მკვლევარების მოწვევა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული პოტენციალის გამოვლენისა და განვითარებისთვის, ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდეგ, (სამსახურთან ერთად) მომზადებული გეგმის მიხედვით მოხდება იმ მიმართულებების (ეკლესიები, კულინარია, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვა) განვითარება, რომელიც იქნება პრიორიტეტად განსაზღვრული და შევთავაზებთ ტურ-ოპერატორებს ტურისტული მარშრუტების დასაგეგმად. მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა, ხელოვნების და კულტურის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წარმოჩინება; ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია</p> <p>სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება ტურიზმის განვითარებისთვის</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება: მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა. მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა. კულტურულ სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>05 02 04</p>		<p>50.0</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;</p> <p>რელიგიური ორგანიზაციათა კანონით ნებადართული აქტივების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ეკლესიის როლის გაძლიერება საზოგადოების ფართო ფენისთვის, მაღალი მორალურ - ზნეობრივი სულისკვეთების ფორმირებაში.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		15.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100% გრანტის მფლობელი აბაშელი აბიტურიენტების ფულადი საჩუქრით დაჯილდოებას; განსაკუთრებული ნიჭის და მიდრეკილების მქონე ახალგაზრდობის მხარდაჭერას; „ახალგაზრდული საბჭოს“ ხელშეწყობასა და ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებას; ახალგაზრდობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგის მოწყობას: - პიროვნული უნარების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების განვითარების საკითხებზე; პროექტის განხორციელება - „აბაშის განვითარების იდეა“; ახალგაზრდობის წამახალისებელი ექსკურსიების მოწყობა; „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის“ ფარგლებში სკოლების ადგილობრივ გარემოსდაცვით ინიციატივების მხარდაჭერას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ხელშეწყობა.		

### მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **829.2** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2023 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	829.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება	198.6
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	198.6
06 02	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა	200.0
06 02 01	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა	200.0
06 03	სოციალური დაცვა	430.6
06 03 01	მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა	77.0
06 03 02	სტიქიით (ხანძარი, ძლიერი ქარი, წყალდიდობა და სხვ.) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა.	30.0
06 03 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	1.8
06 03 04	მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (0 დან 18 წლის ასაკამდე) ოჯახების დახმარების პროგრამა.	21.0
06 03 05	მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების პროგრამა.	40.0
06 03 06	მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარების პროგრამა (ვეტერანის გარდაცვალებისას).	2.5



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
06 03 07	გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.	5.0
06 03 08	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0 დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	10.0
06 03 09	ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.	4.0
06 03 10	დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა.	35.3
06 03 11	მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის (I ჯგუფი) მქონე პირების დახმარების პროგრამა.	40.0
06 03 12	დღის ცენტრის შშმ ბავშვთა ტრანსპორტირების მხარდაჭერის პროგრამა	
06 03 13	მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0 დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	108.0
06 03 14	ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უზუცესთა დახმარების პროგრამა.	2.0
06 03 15	სკრინინგ ცენტრში ბენეფიციარების ტრანსპორტირების მხარდაჭერის პროგრამა	
06 03 16	ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	33.0
06 03 17	თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა	10.0
06 03 18	სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა	5.0
06 03 19	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	6.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		198.6
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებულ რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნას ითხოვს.</p> <p>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრა გულისხმობს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების თავიდან აცილებას.</p> <p>თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივ ჯანმრთელობის სფეროში შემდეგია:</p> <p>ა) საგანმანათლებლო, სადამხრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობა და ხელშეწყობა;</p> <p>ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. მათ შორის ესტეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში;</p> <p>გ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების შენახვის და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის;</p> <p>დ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;</p> <p>ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკების შეფასება, მონიტორინგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამისგან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სანიტარული ღონისძიებები;</li> <li>2. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზი, მალარია და პარაზიტული დაავადებები);</li> <li>3. იმუნიზაცია;</li> </ol> <p>ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამა</p> <p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სანიტარული განათლების ამაღლება, სანიტარულ-ჰიგიენური ჯანსაღი გარემოს შექმნა, იმუნური ფონის გაზრდა, მართვადი ინფექციების მინიმუმამდე შემცირება იმუნური ფონის გაზრდით. განსაკუთრებით საშიში ინფექციათა დაავადებით ავადობის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება, ნარკომანიისა და თამბაქოს პრევენცია, პირადი ჰიგიენის ჩვევების გამომუშავება</p>		

	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 18 და + ასაკის ბენეფიციარების სკრინინგი, სწრაფი მარტივი ტესტით, ტუბერკულოზის, აივ შიდსისა და ც ჰეპატიტის ნაადრევი გამოვლენის თვალსაზრისით პროგრამაში პირველადი ჯანდაცვის რგოლის ჩართვით. ასევე დადებით ანუ პოზიტიური შემთხვევების მკურნალობაში ჩართვა. პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის აივ შიდსის ც ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა, მკურნალობა, შორეული გართულების პრევენციის მიზნით
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		200.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
